ავიცენა
ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტი

„დამტკიცებულია“
შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის” პარტნიორთა საერთო კრების 2022 წლის 15 ნოემბრის სხდომის № 01-03/05 ოქმის დანართი №2

ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის წესი

2022

სარჩევი

მუხლი 1.	ზოგადი დებულებები	1
მუხლი 2.	სამეცნიერო კვლევის და სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსების ზოგადი პრინციპები	1
მუხლი 3.	სამეცნიერო კვლევის დაფინანსების საუნივერსიტეტო წყარო	1
მუხლი 4.	უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი	2
მუხლი 5.	სამეცნიერო აქტივობების საუნივერსიტეტო დაფინანსება	2
მუხლი 6.	შიდა საგრანტო კონკურსი	3
მუხლი 7.	შიდა საგრანტო კომისია	3
მუხლი 8.	შიდა საგრანტო განაცხადების შეფასება	4
მუხლი 9.	განმეორებითი შიდა საგრანტო კონკურსი	4
მუხლი 10.	სხვა სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი	5
მუხლი 11.	უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება	6
მუხლი 12.	დასკვნითი დებულება	8

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. შპს „ავიცენა - ბათუმის სამედიცინო უნივერსიტეტის“ (შემდეგში - „უნივერსიტეტი“ ან „ავიცენა“) საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერის წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს უნივერსიტეტის და მისი სტრუქტურული ერთეულების, აკადემიური და მოწვეული პერსონალის (შემდეგში - „პერსონალი“), ასევე სტუდენტების მიერ განსახორციელებელი სამეცნიერო კვლევის დაფინანსების სამართლებრივ ჩარჩოს, უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტის შესაბამისად კვლევითი საქმიანობისთვის დაფინანსების ან თანადაფინანსების მოპოვების პირობებსა და პროცედურებს.

1.2. წინამდებარე წესის მიზანია საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების დაფინანსებისა და მხარდაჭერის ობიექტური, სამართლიანი და გამჭვირვალე მექანიზმების დანერგვით, ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევის განვითარებას, აკადემიურ პერსონალს შორის პროფესიულ კონკურენციასა და შეჯიბრობითობას, პერსონალის და მათთან ერთად კვლევაში ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტების კვლევითი უნარების განვითარებას და უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევების განვითარების პოლიტიკით განსაზღვრული მიზნების რეალიზებას სამეცნიერო კვლევის სფეროში.

მუხლი 2. სამეცნიერო კვლევის და სამეცნიერო ღონისძიებების დაფინანსების ზოგადი პრინციპები

2.1. უნივერსიტეტი კვლევის დაფინანსების ბიუჯეტის შესაბამისად ახდენს მისი პერსონალის სამეცნიერო კვლევების, პროექტების და სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსებას წინამდებარე წესის მოთხოვნების შესაბამისად.

2.2. ამ მუხლის 2.1. პუნქტი არ ზღუდავს ავიცენას დასაქმებულს, მის მიერ განსახორციელებელი კვლევის დაფინანსება ან თანადაფინანსება, მოიპოვოს სხვა წყაროდან, ამ მუხლის 2.3. პუნქტით განსაზღვრული პირობების დაცვით.

2.3. უნივერსიტეტის აფილირებული აკადემიური თანამდებობის პირი, სამეცნიერო კვლევის დაფინანსების სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისგან მოპოვების შემთხვევაში ვალდებულია წინასწარ დაადგინოს გაარკვიოს შესაბამისი კვლევის შედეგების კონკრეტული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისათვის მიკუთვნების და აღნიშნულ კვლევაში ავიცენას გათვალისწინების შესაძლებლობის საკითხი.

2.4. <u>აფილირებულ აკადემიურ პერსონალს ეკრძალება საკუთარი კვლევის სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელით ან აფილირების მითითებით გამოქვეყნება</u>, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც ავიცენასა და სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შორის დადებულია მემორანდუმი/შეთანხმება ერთობლივი კვლევის განხორციელების თაობაზე.

მუხლი 3. სამეცნიერო კვლევის დაფინანსების საუნივერსიტეტო წყარო

3.1. საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევის დაფინანსება ხორციელდება უნივერსიტეტის ბიუჯეტიდან.

3.2. უნივერსიტეტის ყოველწლიურ ბიუჯეტში ცალკე მუხლად გაიწერება სამეცნიერო კვლევის დაფინანსებისთვის განსაზღვრული თანხის ოდენობა (ბიუჯეტი), რომელიც ნაწილდება უნივერსიტეტის კვლევით აქტივობებზე, წინამდებარე წესის შესაბამისად.

3.3. სამეცნიერო კვლევის დაფინანსებისთვის განსაზღვრული ბიუჯეტი იზრდება უნივერსიტეტის ბიუჯეტის ზრდის პროპორციულად და იგი უნდა შეადგენდეს უნივერსიტეტის მთლიანი ბიუჯეტის არანაკლებ 2%-ს.

3.4. სამეცნიერო კვლევის დაფინანსების დამატებითი წყაროების (დონორი, გრანტი და სხვა) მოძიების შემდეგ, აღნიშნული დაფინანსება ემატება შესაბამისი წლის კვლევის დაფინანსების ბიუჯეტს.

მუხლი 4. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირი

4.1. უნივერსიტეტის სამეცნიერო კვლევის დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირია უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალი და მათთან ერთად კვლევაში ჩართული უნივერსიტეტის სტუდენტები.

4.2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია კონკრეტული კვლევითი პროექტისთვის შეზღუდოს დაფინანსების მიღების უფლების მქონე პირთა წრე აფილირებული აკადემიური პერსონალით ან მიანიჭოს აფილირებულ აკადემიურ პერსონალს უპირატესობა კვლევის დაფინანსების საკითხის გადაწყვეტისას. უნივერსიტეტი ასევე უფლებამოსილია უპირატესობა მიანიჭოს იმ კვლევის დაფინანსებას, რომელშიც ჩართულია უნივერსიტეტის სტუდენტ(ებ)ი ან/და განხორციელებული კვლევის შედეგები წვლილს შეიტანს საზოგადოების განვითარებაში ან/და სოციალური მხარდაჭერის ღონისძიების გატარებაში.

4.3. კვლევაში სხვა პირების, მოწვეული პერსონალის, სტუდენტების, სხვა უნივერსიტეტის პერსონალისა თუ სტუდენტების ჩართვის საკითხი წესრიგდება შესაბამისი კვლევითი კონკურსის პირობებით.

მუხლი 5. სამეცნიერო აქტივობების საუნივერსიტეტო დაფინანსება

5.1. საუნივერსიტეტო დაფინანსება შესაძლებელია გაიცეს შემდეგი სახის სამეცნიერო აქტივობებზე:

ა) უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მიზნობრივი კვლევითი პროექტის დაფინანსება;

ბ) უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებისაგან განსხვავებული სამეცნიერო კვლევის დაფინანსება;

გ) სამეცნიერო ღონისძიებებში - კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსება;

დ) სამეცნიერო ნაშრომის გამოქვეყნების (პუბლიკაციის) დაფინანსება;

ე) უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის დაფინანსება;

5.2. უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტის განაწილება ამ მუხლის 5.1. პუნქტით გათვალისწინებულ კვლევით აქტივობებზე უნდა შეადგენდეს:

ა) კვლევის ბიუჯეტის 50%-ს - უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების შესაბამისად მიზნობრივ კვლევით პროექტებზე;

ბ) კვლევის ბიუჯეტის 20%-ს - უნივერსიტეტის კვლევის პრიორიტეტული მიმართულებებისაგან განსხვავებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე და/ან უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტების განხორციელებაზე;

გ) კვლევის ბიუჯეტის 10%-ს - სამეცნიერო ღონისძიებებში - კონფერენციებში მონაწილეობის დაფინანსებაზე;

დ) კვლევის ბიუჯეტის 20%-ს - სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნების (პუბლიკაციის) დაფინანსებაზე.

მუხლი 6. შიდა საგრანტო კონკურსი

6.1. ამ წესის მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების მიღება **ბენეფიციარს** (დაფინანსების მიმღები აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წარმომადგენელი ან სტუდენტი) შეუძლია შიდა საგრანტო კონკურსის (შემდეგში - საგრანტო კონკურსი) შედეგად.

6.2. შიდა საგრანტო კონკურსი ცხადდება ყოველწლიურად, რექტორის ბრძანებით განსაზღვრულ ვადებში.

6.3. შიდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანებით განისაზღვრება:

ა) საკონკურსო განაცხადის წარმოდგენის ვადები;

ბ) კონკურსში მონაწილეობის უფლების მქონე პირთა წრე;

გ) საკონკურსო მიმართულება/მიმართულებები (არსებობის შემთხვევაში);

დ) განაცხადის ფორმა და განაცხადთან ერთად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა;

ე) საკონკურსო განაცხადის შეფასების კრიტერიუმი და შეფასების ზღვარი;

ვ) საგრანტო განაცხადებზე გადაწყვეტილების მიღების ვადა.

6.4. შიდა საგრანტო კონკურსის გამოცხადების შესახებ შესახებ უნივერსიტეტის განცხადება თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, საჯარო ხელმისაწვდომობისათვის.

მუხლი 7. შიდა საგრანტო კომისია

7.1. უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, ბრძანებით ამტკიცებს საგრანტო განაცხადების შეფასებაზე პასუხისმგებელ პირთა კოლეგიურ შემადგენლობას - საგრანტო კომისიას.

7.2. საგრანტო კომისიის შემადგენლობაში შესაძლებელია შედიოდნენ შესაბამისი დარგის სპეციალისტები - უნივერსიტეტის აკადემიური ან მოწვეული პერსონალი. დასაშვებია კომისიის შემადგენლობაში დამოუკიდებელი ექსპერტების მოწვევა.

7.3. საგრანტო კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 და არაუმეტეს 7 წევრისგან. კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა იყოს კენტი.

7.4. საგრანტო კომისიის წევრს უფლება არ აქვს, როგორც კონკურსანტმა, მონაწილეობა მიიღოს შესაბამის შიდა საგრანტო კონკურსში.

7.5. კომისიის წევრი ვალდებულია განაცხადოს აცილება, თუ მას ინტერესთა კონფლიქტი გააჩნია საგრანტო კონკურსის მონაწილესთან. ინტერესთა კონფლიქტი განიმარტება უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით დადგენილი შინაარსით.

7.6. საგრანტო კომისიის მუშაობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას ახორციელებს უნივერსიტეტის ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

მუხლი 8. შიდა საგრანტო განაცხადების შეფასება

8.1. საგრანტო კომისია აფასებს რექტორის ბრძანებით დადგენილ ვადაში შემოსულ ყველა საგრანტო განაცხადს, რექტორის ბრძანებით დადგენილი შეფასების კრიტერიუმების შესაბამისად.

8.2. საგრანტო განაცხადი მოიხსნება კონკურსიდან, თუ საგრანტო განაცხადის შეფასება უფრო დაბალია, ვიდრე შეფასების ზღვარი.

8.3. იმ შემთხვევაში, თუ საგრანტო განაცხადის შეფასება უფრო მაღალია, ვიდრე შეფასების ზღვარი, საგრანტო კომისიამ შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) **რეკომენდაცია პროექტების დაფინანსების შესახებ** - თუ დადებითი შეფასების მქონე საგრანტო პროექტებით მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობა არ აღემატება კვლევით ბიუჯეტს;

ბ) **რეკომენდაცია შესაბამისი რაოდენობის უმაღლესი შეფასების მქონე პროექტების დაფინანსების შესახებ** - თუ დადებითი შეფასების მქონე საგრანტო პროექტებით მოთხოვნილი დაფინანსების ოდენობა აღემატება კვლევით ბიუჯეტს.

8.4. საგრანტო კომისიის გადაწყვეტილება აღიწერება კომისიის ოქმში, რომელიც წარედგინება კონკურსის მონაწილეებს, რექტორს და აკადემიურ საბჭოს.

მუხლი 9. განმეორებითი შიდა საგრანტო კონკურსი

9.1. იმ შემთხვევაში, თუ ჩატარებული საგრანტო კონკურსის შედეგად, საგრანტო დაფინანსებისთვის დადგენილი ბიუჯეტი არ იქნება ათვისებული, უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია გამოაცხადოს განმეორებითი შიდა საგრანტო კონკურსი, პირველი კონკურსის ჩატარებიდან არაუადრეს 3 და არაუგვიანეს 6 თვისა.

9.2. განმეორებითი კონკურსი ტარდება ამ წესით დადგენილი პირობებით, საგრანტო დაფინანსებისთვის დარჩენილი ბიუჯეტის ფარგლებში.

9.3. კონკურსანტი, რომლის საგრანტო განაცხადი უარყოფითად იქნა შეფასებული პირველი კონკურსის დროს, არ არის უფლებამოსილი განმეორებით კონკურსზე შეიტანოს იგივე შინაარსის პროექტი, მისი გადამუშავების გარეშე.

მუხლი 10. სხვა სამეცნიერო აქტივობების დაფინანსების წესი

10.1. ამ წესის მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებულ სამეცნიერო აქტივობებს - სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობისა და სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების დაფინანსების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

10.2. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსებისთვის აპლიკანტმა ცენტრს უნდა წარუდგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ღონისძიების სახელწოდება;

ბ) ღონისძიების პროგრამა;

გ) დასტური აპლიკანტის ღონისძიებაში მონაწილეობაზე;

დ) ღონისძიებაზე წარსადგენი ნაშრომის აბსტრაქტი;

ე) ღონისძიებაში მონაწილეობის ბიუჯეტი (ამ მუხლის 10.3. პუნქტში აღნიშნული ჩამონათვალის მითითებით);

ვ) თანადაფინანსების ოდენობა (არსებობის შემთხვევაში).

10.3. სამეცნიერო კონფერენციაში მონაწილეობის დაფინანსება მოიცავს:

ა) კონფერენციაში მონაწილეობის ხარჯი;

ბ) მგზავრობის ხარჯი;

გ) საცხოვრებელის ანაზღაურება;

დ) დღიური ანაზღაურება;

ე) სავიზო მოსაკრებელი;

ვ) სამოგზაურო დაზღვევა.

10.4. სამეცნიერო პუბლიკაციის გამოქვეყნების დაფინანსებისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) სტატიის დასახელება;

ბ) ინფორმაცია თანაავტორების შესახებ;

გ) ჟურნალის დასახელება და ინფორმაცია მისი იმპაქტ ფაქტორის შესახებ;

დ) თანხმობა სტატიის გამოქვეყნების შესახებ;

ე) სტატიის გამოქვეყნების ღირებულების ამსახველი ინვოისი;

ვ) თანადაფინანსების ოდენობა (არსებობის შემთხვევაში).

10.5. სახელმძღვანელოს ან მონოგრაფიის გამოქვეყნების დაფინანსებისთვის აპლიკანტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი ინფორმაცია:

ა) ნაშრომის დასახელება;

ბ) ინფორმაცია თანაავტორების შესახებ;

გ) ორი რეცენზია;

დ) თანხმობა უნივერსიტეტის სახელით სახელმძღვანელოს გამოცემის შესახებ;

ე) თანადაფინანსების ოდენობა (არსებობის შემთხვევაში);

10.6. ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უფლებამოსილია განიხილოს შესაბამისი სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების მოთხოვნა და წარმოადგინოს დასაბუთებული დასკვნა შესაბამისი კვლევითი აქტივობისათვის გათვალისწინებული ბიუჯეტის ფარგლებში დაფინანსებაზე რეკომენდაციის ან დაფინანსებაზე უარის თქმის თაობაზე.

10.7. გადაწყვეტილება სამეცნიერო აქტივობის დაფინანსების და მისი ოდენობის შესახებ, ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 11. უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელება

11.1. ფიზიკური ან იურიდიული პირის მიერ (სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულება/უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება/ლაბორატორია ან სხვა დაწესებულება/ორგანიზაცია ან/და მეცნიერი) უნივერსიტეტის ბაზაზე (უნივერსიტეტის სარგებლობაში/მფლობელობაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური რესურსის გამოყენებით) ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების შესახებ შემოთავაზების/წინადადების წარმოდგენის შემთხვევაში, შესაძლებელია იგი განხორციელდეს უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტის, თანადაფინანსების ან გარე საგრანტო/სადონორო დაფინანსებით. აღნიშნული პროექტის დაფინანსების პროცესის ადმინისტრირებას ახორციელებს უნივერსიტეტის სტრუქტურული ერთეული - ჯანმრთელობისა და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი.

11.2. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შესახებ განაცხადის არსებობის შემთხვევაში, პროექტი შესაძლოა განხორციელდეს უნივერსიტეტის კვლევითი ბიუჯეტის, თანადაფინანსების ან გარე საგრანტო/სადონორო დაფინანსებით.

11.3. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაზე დაინტერესებულმა პირმა/ორგანიზაციამ უნივერსიტეტის რექტორის სახელზე უნდა წარმოადგინოს საპროექტო წინადადება, თანდართული ბიუჯეტით.

11.4. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების შესახებ საპროექტო წინადადების კვლევითი პროექტის მიმართულების და კვლევის სპეციფიკიდან გამომდინარე,

ჯანმრთელობის და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევით ცენტრი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისიის მოწვევის საჭიროებასთან დაკავშირებით აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით რექტორის მოადგილის თანხმობით/ვიზირებით სამსახურებრივი ბარათით მიმართავს უნივერსიტეტის რექტორს.

11.5. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისია მტკიცდება რექტორის ბრძანებით, რომლის შემადგენლობაში შედის: 1. რექტორის მოადგილე აკადემიური და სტრატეგიული განვითარების მიმართულებით; 2. რექტორის მოადგილე ადმინისტრაციული და საფინანსო მიმართულებით; 3. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი; 4. მედიცინის სკოლის დეკანი; 5. კვლევის მიმართულებით დარგის სპეციალისტი (აკადემიური პერსონალის წარმომადგენელი ან მოწვეული სპეციალისტი-დარგის ექსპერტი).

11.6. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისია განიხილავს და აფასებს ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის კვლევის აქტუალობას, მის თეორიულ და პრაქტიკულ ღირებულებას, შესაბამისობას უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან, უნივერსიტეტის ბაზაზე კვლევის განხორციელების შესაძლებლობას, კვლევის ბიუჯეტს, თანადაფინანსების/გრანტის არსებობას ან მოძიების საჭიროებას.

11.7. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისიამ შეიძლება მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:

ა) რეკომენდაცია პროექტების დაფინანსების შესახებ - თუ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი შესაბამისობაშია უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებთან და პროექტის ბიუჯეტი არ აღემატება უნივერსიტეტის კვლევითი დაფინანსების ბიუჯეტს ან პროექტის განხორციელება შესაძლებელია თანადაფინანსებით, გრანტით, დონორის მონაწილეობით და სხვა;

ბ) უარი პროექტების დაფინანსებაზე - თუ ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტი არ შეესაბამება უნივერსიტეტის კვლევით პრიორიტეტებს, ბიუჯეტი კი აღემატება უნივერსიტეტის კვლევითი დაფინანსების ბიუჯეტს ან პროექტი არ ითვალისწინებს თანადაფინანსებას ან დონორის მონაწილეობას.

11.8. სამეცნიერო-კვლევითი პროექტის შეფასების კომისიის დასაბუთებული გადაწყვეტილება ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაზე უარის ან რეკომენდაციის შესახებ, აღიწერება კომისიის შესაბამის ოქმში და წარედგინება პროექტის ავტორს და რექტორს.

11.9. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების, უნივერსიტეტის არსებული ბიუჯეტით კვლევის განხორციელების, დამატებითი ფინანსური სახსრების გამოყოფის ან თანადაფინანსების/გრანტის მოძიების საჭიროების, ან ერთობლივი პროექტის განხორციელებაზე უარის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის რექტორი, აკადემიურ საბჭოსთან შეთანხმებით, რაც ფორმდება უნივერსიტეტის რექტორის შესაბამისი ბრძანებით.

11.10. ერთობლივი სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელების შესახებ დადებითი გადაწყვეტილების და პროექტის დაფინანსების შესახებ რექტორის ბრძანების საფუძველზე, უნივერსიტეტის საფინანსო-საბუღალტრო სამსახური უზრუნველყოფს სამეცნიერო-

კვლევითი პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხის გაცემას (შესაბამისი აქტივობის დაფინანსებას), უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

11.11. ერთობლივ სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განხორციელებაზე დადებითი გადაწყვეტილების შემთხვევაში ჯანმრთელობის და დღეგრძელობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი უზრუნველყოფს კვლევითი პროექტის განხორციელების ორგანიზაციულ მხარდაჭერას და ზედამხედველობას.

მუხლი 12. დასკვნითი დებულება

12.1. წინამდებარე წესის პირველადი რედაქცია მიღებულია პარტნიორთა საერთო კრების მიერ და ძალაშია მისი დამტკიცებისთანავე.

12.2. წესის მოდიფიცირებულ რედაქციას ამტკიცებს, წესში ცვლილებები და დამატებები შეაქვს უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.